



შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო  
პროგრამის კომპეტენციების კვლევა სწავლის შედეგების  
შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში  
მოყვანის მიზნით

თბილისი

2017

**კვლევის მიზანი:** საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**კვლევის საგანი:** აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფები.

**კვლევის ინსტრუმენტი:** კითხვარი ფოკუს-ჯგუფებისათვის (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები; სტუდენტები და კურსდამთავრებულები).

**შერჩევა:** რესპოდენტებად შეირჩნენ სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესორები, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

**კვლევის ჩატარების პროცედურა:**

პირველი ფოკუს-ჯგუფი - 2015-2016 წლის კურსდამთავრებულები (14 რესპოდენტი);

მეორე ფოკუს-ჯგუფი - 2016-2017 სასწავლო წლის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტები (18 რესპოდენტი);

მესამე ფოკუს-ჯგუფი - აკადემიური პერსონალი (8 რესპოდენტი) და დამსაქმებლები (4 რესპოდენტი).

ა) კვლევის შედეგებში წარმოდგენილია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფების რესპოდენტთა ზოგადი დამოკიდებულება მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების თაობაზე. კითხვები დაიყო სამ ბლოკად:

1. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი განაპირობებს თქვენს გადაწყვეტილებას მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელების შესახებ?
2. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად რა კრიტერიუმებით შეარჩევთ სასწავლებელს?
3. გააგრძელებდით თუ არა სწავლას თქვე სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე?

**პირველ კითხვაზე** (სავარაუდო პასუხიებით: პროფესიული მოტივი, ცოდნისა და უნარების მიღების სურვილი, კარიერის გაკეთება, სასურველი სამუშაოს ძიების სურვილი; სპეციალობის შეცვლის სურვილი, საზოგადოების მაღალ წრეებში მოხვედრა, დამსაქმებლის მოთხოვნების გამო, სამაგისტრო განათლების მიღების საფუძველზე თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების მოტივი, მაგისტრატურაზე ჩაბარება შემდგომში დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მოტივით, საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების რეალიზების მოტივი, საზოგადოების მხრიდან პატივისცემისა და აღიარების მოპოვების მოტივი): გამოკითხულთა 43.8% (14) მნიშვნელობას ანიჭებს შემდეგ მოტივებს: პროფესიული მოტივი, ცოდნისა და უნარების მიღების სურვილი, კარიერის გაკეთება, სასურველი სამუშაოს ძიების სურვილი და

დასაქმების მეტი შანსი. სამაგისტრო განათლების მიღების საფუძველზე თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების მოტივი ამომრავებთ რესპოდენტთა 25%-ს (8), საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების რეალიზების მოტივი, რომელიც კორელაციაშია საზოგადოების მხრიდან პატივისცემისა და აღიარების მოპოვების მოტივთან და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „მე შემიძლია საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების რეალიზება“ და „ეს სწავლა შესაძლებლობას მომცემს საზოგადოების მხრიდან პატივისცემა და აღიარება მოვიპოვო“ - ამომრავებს გამოკითხულთა 15.6%-ს (5); დამსაქმებლის მოთხოვნების გამო სწავლის გაგრძელების მოტივი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა და გამოკითხულთა მხოლოდ 9.5%-მა (3) გასცა დადებითი პასუხი; მაგისტრატურაში ჩაბარება, შემდგომში დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მოტივით სურს გამოკითხულთა მხოლოდ 6.3%-ს (2).

**მეორე კითხვაზე რესპოდენტთა** საერთო რაოდენობის 25% (8) უპირატესობას ანიჭებს უფრო პრესტიჟულ, ბრენდულ უნივერსიტეტებს, 47% (15) - სწავლის საფასურის სიახვეს და გადახდის მოქნილ სისტემას, 22% (7) - სადაც საბაკალავრო განათლება მიიღო და იმავე უსდ-ში უნდა სწავლის გაგრძელება, 6% (2) - უსდ-ში მრავალი დამატებითი შესაძლებლობების არსებობას თვითგანვითარებისათვის (სპორტული, კულტურული წრეები და ა.შ.).

**მესამე კითხვაზე გამოკითხულ რესპოდენტ** სტუდენტთა 63% (20) და კურსდამთავრებულთა 31.5% (10) მზადაა აირჩიოს კონკრეტულად ეს სამაგისტრო პროგრამა, სტუდენტთა 31.5%-ს (10) და კურსდამთავრებულთა 47%-ს (15) სურს / უკვე სწავლობს სხვა სპეციალობის (კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი) სამაგისტრო პროგრამაზე, სტუდენტთა 6% (2) და კურსდამთავრებულთა 6% (2) არ აპირებს სწავლის გაგრძელებას არცერთ სამაგისტრო პროგრამაზე, კურსდამთავრებულთა 15.5%-მა (5) სხვა უსდ-ების საჯარო სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამები აირჩია, იმის გათვალისწინებით რომ თჰუ-ს არ ჰქონდა საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა.

**ბ) კვლევის შედეგებში** წარმოდგენილია აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების რესპოდენტთა ზოგადი დამოკიდებულება საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეალიზაციის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადეკვატურობის თაობაზე. რესპოდენტებს დაესვათ შემდეგი ორი კითხვა:

1. თვლით თუ არა რომ შრომის ბაზარზე არსებობს საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეალიზაციის საჭიროება?
2. თქვენი აზრით წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება თუ არა შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებსა და მოთხოვნილებებს?

**პირველ კითხვაზე** გამოკითხულ რესპოდენტთა 75%-მა (9) დადებითად უპასუხია, 17%-მა (2) ცალსახად უარყოფითად, ხოლო 8%-მა (1) გასცა პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“.

**მეორე კითხვაზე** გამოკითხულ რესპოდენტთა 85%-მა (10) დადებითად უპასუხა, 15% -მა (2) უპასუხა „ნაწილობრივ შეესაბამება“, ხოლო 0%-მა (0) განაცხადა, რომ არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ გამოწვევებსა და მოთხოვნებს.

გამოირკვა, რომ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონის გაზრდამ გამოიწვია გამოკითხულთა დიდი არჩევანი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში, კურსდამთავრებულთა მოტივაცია მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების თაობაზე, უკავშირდება როგორც სწავლების ხელმისაწვდომობას (საფასურს), ისე დასაქმების მეტ პერსპექტივას, ასევე უსდ-ს პრესტიჟს. თჰუ-მ უნდა იბრძოდეს იმისთვის, რომ მისი სახელი ცნობილ ბრენდად იქცეს შრომის ბაზარზე.

### **პოზიტიური შედეგები:**

**პროგრამის ხელმძღვანელი** - გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის პერმანენტული მონიტორინგი და მის საფუძველზე საგანამართლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა; მეტად მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ ე.წ. ვაკანსიის ბაზრობის (**job fair**) მოწყობას. ეს გულისხმობს წელიწადში ერთხელ მსგავსი ტიპის ბაზრობებზე დამსაქმებლების კონცენტრაციას, მათთან ინტერვიუებზე ეწერებიან სტუდენტები და იქვე ხდება შეთანხმება საზაფხულო სტაჟრებაზე (**intership**). აუცილებელია მაგისტრანტებისათვის სტაჟირების სხვადასხვა პროექტების შეთავაზება და ამ მიმართულების გაძლიერება, რა დროსაც, მაგისტრანტები გაეცნობიან პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნებს, მათ მოლოდინს კადრებთან მიმართებაში. აღნიშნული გაზრდის მაგისტრანტის დასაქმების პერსპექტივას.

**კურსდამთავრებულები** - კურსდამთავრებულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალური ურთიერთობების საკითხს. მხედველობაშია სტუდენტთა წრეები, მოწვეული პედაგოგები, მოწვეული მოსამართლეები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, პარლამენტარები. სწავლის გადასახადი კურსდამთავრებულთა აზრით შეფასებულია როგორც ოპტიმალური და ადექვატური. დადებითადაა შეფასებული პროგრამაში შეთავაზებული სწავლების მეთოდები: დისკუსია-დებატები, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობა, პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდები, კაზუსზე მუშაობა, თანამშრომლობითი (**cooperative**) სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდი (**Case study**), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. კურსდამთავრებულები განსაკუთრებით პოზიტივს ავლენდნენ იმაზე, რომ გათვალისწინებულია ხანგრძლივი პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა და პროგრამა თეორიული ცოდნის გარდა, პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებაზეცაა ორიენტირებული.

**სტუდენტები** - სტუდენტთა დამოკიდებულება სამაგისტრო პროგრამისა და სამომავლო დასაქმების მიმართ მკვეთრად პოზიტიურია, თუმცა გააჩნიათ რიგი სურვილები, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ინდივიდუალური მუშაობის ფორმატის გამრავლაფეროვნებასთან, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კომუნიკაციის დისტანციური ფორმების გაქტიურებასთან.

**დამსაქმებლები** - ზოგადად კმაყოფილები არიან სტუდენტთა განათლების დონით, მათ მიერ უცხო ენების ცოდნით, პროგრამით მიღებული თეორიული და ტრასფერული უნარები, მათ შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ მონაწილეობა ცალკეულ პროცესებში; დამსაქმებლები მზად არიან მუდმივად იყონ უნივერსიტეტთან კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობაში, რაც შესაძლებელს გახდის გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლის მოთხოვნები პოტენციური დასაქმებულის კვალიფიკაციის მიმართ.

**აკადემიური პერსონალი** - ზოგადად, გამოკითხვის შედეგად აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება ფასდება პოზიტიურად, თუმცა გააჩნიათ სასურველი ხასიათის გარკვეული რეკომენდაციები: 1. სასწავლო პროცესის დასახვეწად გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, პრეზენტაციების ჩასატარებლად შესაბამისი მოწყობილობების სტაციონარული წესით დამონტაჟება; 2. შემოღებულ იქნას მაღალკვალიფიციურ ლექტორ-მასწავლებლებზე, მატერიალური და სოციალური წახალისების ღონისძიებები.

**ნეგატიური ფაქტორები** - როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელიც ინტერვიუებში აცხადებენ, რომ სასურველია ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით ყველა აუდიტორიის აღჭურვა, ყველა აუდიტორიაში სტაციონარული თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიური სისტემების დაყენება, **პროგრამის ხელმძღვანელის** მოსაზრებით, შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების გარდა, უნდა დაფინანსდეს და ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ სრულყოფას, აუცილებელია ფაკულტეტსა და პროფესიული პრაქტიკის ობიექტებს შორის ურთიერთობების სრულყოფა, დასაქმების ფორუმებისა და პოტენციურ დამსაქმებელთან შეხვედრების სისტემატიზაცია, რაც სტუდენტებს უფრო მეტად ინფორმირებულს გახდის. **აკადემიური პერსონალის** აზრით, საჭიროა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, პრაქტიკოსი ლექტორების მოწვევა და პოტენციურ დამსაქმებელთან რეგულარული შეხვედრების ორგანიზება; **სტუდენტებს** გააჩნიათ გარკვეული სახის კრიტიკული მოსაზრებები პროფესიული პრაქტიკის მიმართ, რასაც დამამთავრებელ სემესტრში გადიან, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში; მათ სურთ, პრაქტიკა გაიარონ პირველი ან მეორე კურსიდან ყოველწლიურად; ასევე გააჩნიათ მოსაზრება სტაჟირების გავლისა, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებში, ისე საზღვარგარეთ არსებულ კომპანიებში; სტუდენტებს სურთ უნივერსიტეტის მხრიდან მუდმივად ხდებოდეს ინფორმაციის გავრცელება არსებული ვაკანსიების შესახებ. **დამსაქმებლებმა** აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსებმა სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად კიდევ უფრო ღრმად უნდა განუვითარონ პრაქტიკული უნარები, რაც მიიღწევა სასწავლო პროგრამის პარალელურად, ეფექტური სტაჟირების კომპონენტის დანერგვით.